

ვარსკვლავები

გალაქტიკები



ალბათ, უკვე იწი, რა არის ვარსკვლავი. ახლა კი ამ ტექსტით შეძლებ იმის გაგებას, თუ როგორ ჩნდება ან რისგან შეფერხა იგი.

ცაზე უამრავი ვარსკვლავია. ისინი ჩვენგან ძალიან შორს არიან, სწორედ ამიტომ ჩანან ასეთ პატარა მანათობელ წერტილებად.

როგორ გაჩნდა ვარსკვლავი? თურმე ყოველი მათგანი მტვერმა და **აირის** დიდმა ღრუბელმა შექმნა. ღრუბელი რომ შეიკუმშა, აირი და მტვერი ერთმანეთს მიეკრო. ასე გაჩნდა **სფერო**, რომელმაც ბრუნვა დაიწყო. ამ დროს იგი ისე გაცხელდა, რომ სინათლე და სითბო გამოყო. ასე დაიბადა ვარსკვლავი. მაგრამ იგი არა მარტო იბადება, არამედ კვდება კიდეც, ესე იგი, წყვეტს ნათებას. ეს პროცესი რამდენიმე მილიარდი წლის წინ დაიწყო და ახლაც გრძელდება.

ვარსკვლავები სხვადასხვა ფერისა და ზომისაა. ყველაზე დიდები უფრო ცხელია. ისინი თეთრად ანათებენ, უფრო პატარები კი – ყვითლად. **ჯუჯა** ვარსკვლავი ცივია და წითელ შუქს გამოსცემს. ალბათ, იცი, რომ ჩვენი მზეც ვარსკვლავია. ის საშუალო ზომისაა და ამიტომ ანათებს ყვითლად.

მანათობელი ციური სხეულები კოსმოსში ჯგუფებს ქმნიან. ზოგ ჯგუფში რამდენიმე ასეთი სხეულია, ზოგში კი – ასობით. ისინი შორიდან სინათლის **გიგანტურ** რგოლს ჰქონიან. დიდ ჯგუფებს გალაქტიკას ეძახიან. ჩვენს გალაქტიკას ირმის ნახტომი ჰქვია. ყველა ვარსკვლავი, რომელსაც შენ ლამით ხედავ, ირმის ნახტომში შედის.

ხილულ სამყაროში 170 მილიარდზე მეტი გალაქტიკაა. ზოგი ირმის ნახტომზე დიდია, ზოგიც – პატარა. ზოგი გალაქტიკა ფორმით **ელიფსის** ჰგავს, ზოგი – **სპირალს**. ასეთია ირმის ნახტომი. ზოგს არანაირი ფორმა არ აქვს, ამიტომ მათ არაწესიერი გალაქტიკები ჰქვიათ.

ზოგჯერ გალაქტიკები ერთმანეთს ეჯახება. ამ დროს ისინი ფორმას იცვლიან.

რა იყო შენოვის ახალი ფა საინტერესო ამ ტექსტში?



►►► ტექსტის გაგება

ყოველ შეკითხვას შეურჩიე თითო სწორი პასუხი.

1 რას ვიგებთ ტექსტის მეორე აბზაციდან?

- ა) რამდენ ხანს ცოცხლობს ვარსკვლავი.
- ბ) რატომ კვდება ვარსკვლავი.
- გ) როგორ ჩნდება ვარსკვლავი.

2 აირის ღრუბელმა და მტვერმა შექმნა:

- ა) გალაქტიკა.
- ბ) ვარსკვლავი.
- გ) სამყარო.

3 მზე ყვითლად ანათებს, რადგან:

- ა) ის საშუალო ზომისაა.
- ბ) ის ძალიან დიდია.
- გ) ის ჯუჯა ვარსკვლავია.

4 გალაქტიკები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან:

- ა) ასაკით.
- ბ) ფერით.
- გ) ფორმით.

5 ირმის ნახტომი:

- ა) ელიფსის ფორმისაა.
- ბ) სპირალის ფორმისაა.
- გ) სრულიად უფორმოა.

6 რის შესახებ არარის საუბარი ტექსტში?

- ა) რატომ ჩანან ვარსკვლავები ძალიან პატარა.
- ბ) რის გამო ჰქვია გალაქტიკას ირმის ნახტომი.
- გ) როდის იცვლიან გალაქტიკები ფორმას.



►►► ლექსიკა

1 გაარკვიე ხაზგასმული სიტყვების მნიშვნელობები.

1. **აირის** დიდი ღრუბელი შეიკუმშა.
ა) გაზის. ბ) მტვრის. გ) წვიმის.
2. **ჯუჯა** ვარსკვლავი ცივია.
ა) საშუალო ზომის. ბ) ყვითელი ფერის. გ) ძალიან პატარა.
3. გალაქტიკა **გიგანტურ** რგოლს ჰქონდა.
ა) გამჭვირვალე. ბ) მრავალფეროვან. გ) უზარმაზარ.

2 ხაზებით დააკავშირე სიტყვები და მათი განმარტებები.

- | | |
|------------|----------------------------------|
| 1. სპირალი | ბურთის ფორმის საგანი. |
| 2. სფერო | კვერცხის მოყვანილობის სხეული. |
| 3. ელიფსი | ხვეული ხაზი, მავთული, ზამბარა... |

►►► გრამატიკა

1 იპოვე შეცდომები და აღნიშნე X-ით.

- | | |
|---|--|
| <input checked="" type="checkbox"/> ყოველი მათთაგანი. | <input type="checkbox"/> ყოველი მათგანი. |
| 1. <input type="checkbox"/> უამრავი ვარსკვლავი. | <input type="checkbox"/> უამრავი ვარსკვლავები. |
| 2. <input type="checkbox"/> სწყვეტს. | <input type="checkbox"/> წყვეტს. |
| 3. <input type="checkbox"/> რამდენიმე. | <input type="checkbox"/> რამოდენიმე. |
| 4. <input type="checkbox"/> გვანან. | <input type="checkbox"/> ჰგვანან. |

2 ფრჩხილებში ჩასმული სიტყვები დაწერე სწორად.

1. ზოგი გალაქტიკა ფორმით (ელიფსი) ----- ჰქონდა.
2. მზე (ყვითელი) ----- ანათებს.
3. (ჩვენი) ----- გალაქტიკას ირმის ნახტომი ჰქონდა.



- 1** ამოინერე ტექსტიდან ინფორმაცია ვარსკვლავების შესახებ და დააჯგუფე მითითებული კატეგორიების მიხედვით.

ვარსკვლავები					
დაბადება	ფერი	ზომები	რაოდენობა გალაქტიკაში	გალაქტიკის ფორმა	ირმის ნახ- ტომი

- 2** დაწერე ხუთსტრიქონიანი ლექსი ჩვენს გალაქტიკაზე. შეეცადე ლექსში ასახო წაკითხული ტექსტით მიღებული ცოდნა და შთაბეჭდილება. გააფორმე შენი ნაწერი ნახატით.

ლექსის სქემა:

არსებითი სახელი

ზედსართავი სახელი

ზედსართავი სახელი

ზმა

ზმა

ზმა

ოთხსიტყვიანი წინადადება ან ფრაზა

არსებითი სახელი

